ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სტუდენტთა 73-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, *2013 წლის 30-31 მაისს,* ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია ორ ეტაპად.

I ეტაპი – *საკათედრო (20-24 მაისი);*

II ეტაპი – *საფაკულტეტო (30-31 მაისი);*

კათედრებზე ჩატარებული კონფერენციის შედეგების წარმოდგენის ბოლო ვადაა *2013 წლის 27 მაისი*

გამარჯვებული სამ-სამი საუკეთესო სტუდენტი (ბაკალავრი **I-III ადგილი,** მაგისტრი **I-III ადგილი**) მონაწილეობას მიიღებენ კონფერენციის მე-II ეტაპზე.

გთხოვთ, *2013 წლის 15 მაისამდე* წარმოგვიდგინოთ:

1. კათედრაზე კონფერენციის ჩატარების თარიღი;
2. ჟიურის შემადგენლობა;
3. მომხსენებლის გვარი და სახელი სრულად, კურსი, ელ-ფოსტა, ტელეფონი;
4. მოხსენების სრული დასახელება;
5. სტუდენტის მეცნიერ-ხელმძღვანელის გვარი და სახელი სრულად, აკადემიური თანამდებობა და სამეცნიერო ხარისხი.
   - ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 გვერდს, (ტექსტის ფორმატი – Microsoft Word Document, A4, შრიფტი Sylfaen 12, სათაური, ავტორის და ხელმძღვანელის სახელი და გვარი –14, ძირითადი ტექსტი-12, ინტერვალი სტრიქონებს შორის – 1,5, ველები – 2,5 სმ ყველა მხრიდან).
   - ჟიურის მიერ გამოვლენილი გამარჯვებული სტუდენტების შედეგები და ნაშრომები წარმოადგინეთ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურში.
   - კონფერენციაში მონაწილე მომხსენებლებიდან სამი საუკეთესო მიიღებს I, II, III ადგილის შესაბამის სერტიფიკატს, ყველა მონაწილეს გადაეცემა სერტიფიკატი – მონაწილეობისათვის.

ფაკულტეტზე გამარჯვებული სამი საუკეთესო სტუდენტი მონაწილეობას მიიღებს თსუ-ს სტუდენტთა *73-ე* კონფერენციაში.

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური